

2020/12/02

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან
დავითაშვილს

ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძის
პირადი ნომერი: 61002012462
მობ.: 599 889 815
ელ. ფოსტა: genjorbenadze@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძე გეგმავს ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქედლების ტერიტორიაზე, მოაწყოს საბურავების ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე საწარმო. მიღებული პროდუქტის (რეზინის ფხვნილის) გამოყენება მოხდება შემდგომ, რეზინის ფილების წარმოებისთვის.

აღნიშნული საქმიანობა კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას განეკუთვნება, რაც ექვემდებარება აღნიშნული კანონით დადგენილ სკრინინგის პროცედურას.

გთხოვთ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-თ გათვალისწინებული წესის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების დადგენის მიზნით, განიხილოთ აღნიშნულ სკრინინგის ანგარიში და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

სკრინინგის განცხადებას დანართის სახით თან ერთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-თ გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

გენადი ჯორბენაძე

გ. ჯორბენაძე



2020/12/02

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან
დავითაშვილს

ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძის
პირადი ნომერი: 61002012462
მობ.: 599 889 815
ელ. ფოსტა: genjorbenadze@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძე გეგმავს ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქედლების ტერიტორიაზე, მოაწყოს საბურავების ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე საწარმო. მიღებული პროდუქტის (რეზინის ფხვნილის) გამოყენება მოხდება შემდგომ, რეზინის ფილების წარმოებისთვის.

აღნიშნული საქმიანობა კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას განეკუთვნება, რაც ექვემდებარება აღნიშნული კანონით დადგენილ სკრინინგის პროცედურას.

გთხოვთ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-თ გათვალისწინებული წესის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების დადგენის მიზნით, განიხილოთ აღნიშნულ სკრინინგის ანგარიში და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

სკრინინგის განცხადებას დანართის სახით თან ერთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-თ გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

გენადი ჯორბენაძე

გ. ჯორბენაძე

2020/12/02

საქართველოს გარემოს დაცვისა
და სოფლის მეურნეობის
მინისტრს ბატონ ლევან
დავითაშვილს

ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძის

პირადი ნომერი: 61002012462

მობ.: 599 889 815

ელ. ფოსტა: genjorbenadze@gmail.com

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო ლევან,

ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძე გეგმავს ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქედლების ტერიტორიაზე, მოაწყოს საბურავების ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე საწარმო. მიღებული პროდუქტის (რეზინის ფხვნილის) გამოყენება მოხდება შემდგომ, რეზინის ფილების წარმოებისთვის.

აღნიშნული საქმიანობა კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას განეკუთვნება, რაც ექვემდებარება აღნიშნული კანონით დადგენილ სკრინინგის პროცედურას.

გთხოვთ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-თ გათვალისწინებული წესის შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების საჭიროების დადგენის მიზნით, განიხილოთ აღნიშნული სკრინინგის ანგარიში და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

სკრინინგის განცხადებას დანართის სახით თან ერთვის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-თ გათვალისწინებული სათანადო დოკუმენტაცია.

პატივისცემით,

გენადი ჯორბენაძე

დანართი 1

საბურავების ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე
საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის

სკრინინგის ანგარიში

ინდივიდუალური მეწარმე

გენადი ჯორბენაძე

პ/ნ: 61002012462

თბილისი 2020

სარჩევი

1.	შესავალი.....	4
1.1.	ინფორმაცია საქმიანობის განხორციელებლის შესახებ.....	4
2.	პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობა.....	5
3.	საბურავების ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარის მახასიათებლები .	6
4.	ინფორმაცია პროექტის განხორციელების ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ	8
4.1.	ბიოლოგიური გარემო.....	8
4.2.	დაცული ტერიტორიები.....	9
5.	გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება.....	11

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მოთხოვნების შესაბამისად და წარმოადგენს ინდივიდუალური მეწარმის „გენადი ჯორბენაძის“ საბურავების ნარჩენების გადამამუშავებელი მცირე საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძე გეგმავს ხულოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ქედლებში ამორტიზირებული, გამოუსადეგარი საბურავების გადამამუშავებასა და შემდგომ მისგან იმპორტის ჩამნაცვლებელი რეზინის ფილების წარმოებას. პროექტის მიზანია ერთის მხრივ გარემოს დაბინძურების შემცირება, მეორეს მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, ეკონომიკური აქტივობის ზრდა მაღალმთიან რეგიონში და მოგების მიღება.

ხმარებისათვის უვარგისი საბურავების გადამამუშავება, კანონის - „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას განეკუთვნება, რაც ექვემდებარება აღნიშნული კანონით დადგენილ სკრინინგის პროცედურას.

1.1. ინფორმაცია საქმიანობის განმხორციელებლის შესახებ

საქმიანობის განმხორციელებელი:	ინდივიდუალური მეწარმე გენადი ჯორბენაძე
იურიდიული მისამართი:	ქ. ბათუმი, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩა, N 43, ბინა 20 (ყოფ. ე. ნინოშვილის ქ.)
ფაქტიური მისამართი:	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ქედლები
რეგისტრაციის თარიღი	19 აგვისტო 2004
საიდენტიფიკაციო ნომერი:	61002012462
ელ-ფოსტა:	genjorbenadze@gmail.com

2. პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობა

როგორც უკვე აღინიშნა პროექტის განხორციელება დაგეგმილია ხულოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქედლების ტერიტორიაზე ოჯახის საკუთრებაში არსებულ ნაკვეთზე.

- ნაკვეთის კოორდინატები: 41.650782, 42.300096;
- საკადასტრო კოდი 23.06.37.484.

ნაკვეთი გარშემორტყმულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებით. საპროექტო ტერიტორიდან მოსახლეობა დაშორებულია: ჩრდილოეთით 72 მეტრით, ჩრდილო - აღმოსავლეთ 76 მეტრით, სამხრეთით - 41 მეტრით, ხოლო დასავლეთით - 140 მეტრით, (იხილეთ სურათი 2.1).

საწარმოს განთავსების შემოგარენი ღარიბია ფლორისტული და ფაუნისტური სახეობებით, უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება დაცული სტატუსი მქონე არცერთი სახეობა.

სურ. 2.1. საპროექტო ტერიტორიის განთავსების აეროფოტოსურათი




3. საბურავების ნარჩენების გადამამუშავებელი დანადგარის მახასიათებლები


ინდ. მეწარმე გენადი ჯორბენაძეს საბურავების ნარჩენების გადამამუშავებისთვის დაგეგმილი აქვს გამოიყენოს ჩინური წარმოების დანადგარები. დანადგარები 5 ტონა მოცულობისაა და სრული ტექნოლოგიური ციკლის შესასრულებლად საჭიროებს 8 საათს (საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი მოცემულია სქემაზე 3.1).

სქემა 3.1 საბურავების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნოლოგიური ციკლი

ციკლი პირველი



ციკლი მეორე



პირველი ციკლი

ამორტიზირებული საბურავი საწყის ეტაპზე იჭრება რულონებად, რომლისგანაც შემდგომ ხდება ფოლადის მავთულის ამოცლა შესაბამისი დანადგარის საშუალებით. მავთულგამოცლილი საბურავის რულონები ხდება დამაქუცმაცებელ დანადგარში, სადაც ხდება პატარა ნაჭრებად დაქუცმაცება. დაჭრილი საბურავის ნაჭრები საბოლოოდ ხდება დამაქუცმაცებელ დანადგარზე, საიდანაც მიიღება რეზინის ფხვნილი და ნეილონის ბოჭკო.

მეორე ციკლი

უკვე დამუშავებული, დაქუცმაცებული რეზინის ფხვნილი თავსდება შესაბამის მიქსერში, ემატება წემო და ფერის პიგმენტი. მიქსერში კარგად ირევა ერთმანეთში და მიღებული მასა თავსდება სხვადასხვა ფორმის რკინის ყალიბებში. რკინის ყალიბები თავსდება საპრეს დანადგარში, სადაც ხდება დაპრესვა და მზა პროდუქციის მიღება.

წარმოების პროცესში არ ფიქსირდება ნარჩენების დაგროვება და გარემოს დაბინძურება.

საბურავების გადამუშავებისას მიღებული პროდუქტების პროცენტული მაჩვენებელი შემდეგია:

- რეზინის ფხვნილი - 99,2%;
- მავთული - 0,7%
- ნეილონის ბოჭკო - 0,1%


4. ინფორმაცია პროექტის განხორციელების ადგილის გარემოს ფონური მდგომარეობის შესახებ

4.1. ბიოლოგიური გარემო

ფლორა

გეობოტანიკური თვალსაზრისით საკვლევი არეალი მიეკუთვნება დასავლეთ საქართველოს აჭარის რაიონში, ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ზონას. ჰავას მკვეთრი სეზონურობა ახასიათებს, ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი და შედარებით მშრალი. მუნიციპალიტეტის დაბალ ნაწილებში საშუალო წლიური ტემპერატურა 10.1 °C - ის ტოლია, იანვრის თვეში - 0.9 °C და ივნისში კი - 18.6 °C. მუნიციპალიტეტის მაღალმთიან ზონაში ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაბალია. ნალექების რაოდენობა წლიურად 1300 მმ - დან 2400 - 2500მმ - მდეა. საკვლევი ტერიტორია ძალზე სახეცვლილია ადამიანის საქმიანობიდან გამომდინარე; მდელოს მნიშვნელოვანი ნაწილი დაბალპროდუქტიული საძოვარია და მცენარეულობა ძლიერ არის გადაძოვილი საქონლის მიერ. ბუნებრივი ხე-ბუჩქები ტერიტორიაზე მცირე მასშტაბით გვხვდება, ხელოვნურად ჩარგული მსხლისა და ვაშლის ნარგაობა მარტივ ზოლად გასდევს ინტერესის ზონას. არის მონაკვეთები, რომელიც ბალახოვან მცენარეულობას სრულიად მოკლებულია.

სურ. 4.1 საკვლევი ტერიტორიის მიმდებარედ არსებული მცენარეულობა



ფაუნა

რადგან, ტერიტორია ძირითადად არის გარდაქმნილი ადამიანის სამეურნეო საქმიანობიდან გამომდინარე, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ იგი სხვადასხვა ცხოველთა თავშესაფარს წარმოადგენდეს, რაც ტერიტორიის შემოვლისას არის დადასტურებული.


საკვლევ ტერიტორიის ფარგლებში, წელიწადის სხვადასხვა დროს შესაძლებელია აღირიცხოს ცხოველთა და ფრინველთა შემდეგი სახეობები:

- | | |
|----------------------|--|
| ამფიბიები | საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, წყლიან გუბურებში შესაძლებელია შევხვდეთ კავკასიურ გომბეშოს (<i>Bufo verrucosissimus</i>). |
| ქვეწარმავლები | ზაფხულის ცხელ დღეებში შესაძლებელია ტერიტორიაზე ხელსაყრელი პირობები შეიქმნას ხვლიკებისთვის. |
| ფრინველები | საწარმოს განთავსების სიახლოვეს, კვლევის პერიოდში ნანახი იქნა შემდეგი ფრინველები: ყვავი, მერცხალი, ძერა. |
| ძუძუმწოვრები | ძუძუმწოვრებიდან, საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებულია - ზღარბი (გარდა ამისა შესაძლებელია ტერიტორიაზე ბინადრობდეს მინდვრის თაგვი და თხუნელა). |
| უხერხემლოები | საკვლევ ტერიტორიაზე გავრცელებული უხერხემლო ცხოველთა შემადგენლობა ასეთია: ნემსიყლაპიები Odonata, სწორფრთიანები Orthoptera, სიფრიფანფრთიანები Hymenoptera, ორფრთიანები - ბუზები Diptera. |

4.2. დაცული ტერიტორიები

საპროექტო ტერიტორიიდან ახლო მანძილზე დაცული ტერიტორიები არ არსებობს. უახლოესი დაცული ტერიტორია კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალია, რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან 24,4 კმ-ში მდებარეობს. ამას გარდა, საპროექტო ტერიტორიიდან დიდი მანძილითაა დაშორებული მტირალას ეროვნული პარკი - 35 კმ და მაჭახელას ეროვნული პარკი 44 კმ.

სურ 4.2.1 საპროექტო ტერიტორიასთან მდებარე უახლოესი დაცული ტერიტორიები



5. გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება

საქმიანობის მახასიათებელი	დახასიათება/შესაძლო ზემოქმედება
საქმიანობის მასშტაბი	საწარმო სრული დატვირთვით იმუშავებს 2 ცვლაში. დღეში 8 საათის განმავლობაში.
კუმულაციური ზემოქმედება	საწარმოს განთავსების ტერიტორიის სიახლოვეს არ არის წარმოდგენილი წარმოებები, შესაბამისად ფუნქციონირების ეტაპზე კუმულაციურ ზემოქმედებას არ ექნება ადგილი.
ბუნებრივი რესურსების გამოყენება	საწარმოს ოპერირებისთვის ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება ელექტრო ენერჯია.
ნარჩენების წარმოქმნა	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას ადგილი ექნება ნარჩენების წარმოქმნას, კერძოდ ნეილონის ბოჭკოს და მეტალის მავთულის. ორივე მათგანი შეიფუთება და დასაწყობდება. მათი რეალიზაცია მოხდება პერიოდულად ადგილობრივ ბაზარზე.
გარემოს დაბინძურება და ხმაური	წარმოებისათვის განკუთვნილი დანადგარები განთავსდება დახურულ შენობაში, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ხმაურით ზემოქმედებას გარემოზე. ამჟამად ხდება ამორტიზირებული საბურავების ბუნებაში არასწორი უტილიზაცია, აღნიშნული გეგმით მოხდება სწორი უტილიზაცია, რაც შეამცირებს გარემოზე მავნე ზემოქმედებას.
მასშტაბური ავარიის რისკი ან/და კატასტროფის რისკი	დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ გამოიწვევს მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკის გაზრდას.

საქმიანობის განხორციელების ადგილი და თავსებადობა/სიახლოვე	დახასიათება/შესაძლო ზემოქმედება
ჭარბტენიან ტერიტორიებთან	საწარმოსათვის განკუთვნილ ტერიტორიის სიახლოვეს ჭარბტენიანი ტერიტორიები წარმოდგენილი არაა.
შავი ზღვის სანაპირო ზოლთან	საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს შავი ზღვის სანაპირო ზოლში.
ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან	საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს ტყით დაფარული ტერიტორიის სიახლოვეს.

დაცულ ტერიტორიასთან	საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის სიახლოვეს.
მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან	საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიის სიახლოვეს.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან	საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.

საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი	დახასიათება/შესაძლო ზემოქმედება
ტრანსსასაზღვრო	პროექტის განხორციელებისას ტრანსსასაზღვრო ხასიათის ზემოქმედებას ადგილი არ აქვს
ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა	<p>პროექტის განხორციელება გარემოზე უარყოფით ზეგავლენას არ იქონიებს, პირიქით საწარმოს ფუნქციონირებით გადამუშავდება საბურავების ნარჩენები, რომელიც საკმაოდ პრობლემატურ ნარჩენებს წარმოადგენს.</p> <p>ამორტიზირებული საბურავების განლევას ბუნებაში ესაჭიროება მინიმუმ 50 წელი.</p> <p>პროექტის დახმარებით ამორტიზირებული საბურავების სწორი უტილიზაცია მოხდება.</p>